



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #160/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ ჩიბურდანიძე (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. ადვოკატს აღნიშნული კლიენტი უნდა წარმოედგინა სასამართლოში ოთხ მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო აღნიშნული ჰონორარი. კერძოდ, კლიენტს თავდაპირველად უნდა გადაეხადა 5000 ლარი და ასევე საქმის დასრულების შემდგომ 7% გადახდა. ხელშეკრულებაში ასევე გათვალისწინებული იყო აღნიშნული 7% გადახდა იმ შემთხვევაშიც თუ მხარეები მორიგდებოდნენ, სასამართლო წარმატებით დასრულდებოდა თუ წარუმატებლად. აღნიშნული საქმე დასრულდა მორიგებით, კლიენტი კი უარს აცხადებს თანხის გადახდაზე და იგი მიუთითებს, რომ არ იყო ინფორმირებული, რომ მას 7% გადახდა მოუწევდა საქმის მორიგებით დამთავრების დროსაც ანუ ადვოკატის მიერ არ იყო წინასწარი ინფორმირება თანხის თაობაზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე აღნიშნულ კლიენტს თავისი სახელით აქვს განხორციელებული ხელმოწერა.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი 6.2 პუნქტის, აპკ-ის 8.6 და 8.8 ნაწილების ადვოკატის მხრიდან შესაძლო დარღვევის შესახებ. ადვოკატი და კლიენტი თავად წყვეტენ ჰონორარის რა ოდენობაზე შეთანხმდნენ და რომელ ეტაპზე, რა გრაფიკით მოხდეს მომსახურების საფასურის გადახდა, თუმცა ამავე დროს, ადვოკატს აკისრია პროფესიული ვალდებულება შეთანხმებამდე, კლიენტს განუმარტოს საადვოკატო მომსახურების პირობები, მათ შორის მიაწოდოს ინფორმაცია ჰონორარის გადახდის ოდენობის თაობაზე, ასევე ისიც თუ საქმისწარმოების რომელ ეტაპზე, რა ხარჯების გაწევა მოუწევს კლიენტს. საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება წარმოადგენს კლიენტის ნების გამოხატვას, ანდობს მის საქმეს ადვოკატს. შესაბამისად, კლიენტის მოლოდინია, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად და პროფესიული ვალდებულებების დაცვით წარმოადგენს მის ინტერესებს, მათ შორის მიაწოდებს ინფორმაციას საადვოკატო მომსახურების პირობების შესახებ სრულყოფილად, წინასწარ განუმარტავს ჰონორარის ოდენობას, რაც ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვას წარმოადგენს. ეთიკის კომისიის რეკომენდაციით ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს წერილობითი სახით, რადგან წერილობითი შეთანხმება ადვოკატისა და კლიენტისათვის თანაბრად უპირატესია, კონკრეტულად ჩანს, რა იყო შეთანხმების საგანი, რა ოდენობის ჰონორარის გადახდაზე შეთანხმდნენ მხარეები. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დადგინდეს კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარება და რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის ამაში. კომისია ერთხმად შეთანხმდა, რომ კლიენტი იყო ინფორმირებული ჰონორარის შესახებ მან იცოდა პირობები ხელშეკრულების „ასევე მისი გადახდის წესიც, რაც დაადასტურა ხელმოწერით. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ეთიკის კომისიის

¹ <https://gba.ge/pdf/5d6fd03e132c2.pdf/160.18%2007.02.19%20ar%20agdzvra.pdf>

უფლებამოსილებას არ წარმოადგენს შეაფასოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობის საკითხი, რომლის თაობაზე მსჯელობაც სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2 პუნქტით, ასევე აპეკ-ის 8.6 და 8.8 ნაწილებით და ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინარული დევნა.